საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, თარხნიშვილის ქ. №2-ში მდებარე სადემონტაჟო შენობის მიმდებარე ნაგებობების მდგრადობაზე

შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს სპეციალისტების მიერ, ვიზუალური დათვალიერების შედეგად, შესწავლილი იქნა ქ. თბილისში, თარხნიშვილის ქ. №2-ში მდებარე სადემონტაჟო შენობის მიმდებარე ნაგებობების მდგომარეობა მდგრადობაზე.

გამოსაკვლევი უბანი ხასიათდება შემდეგი ტექნიკურ-მექანიკური მახასიათებლებით:

- სეისმურობა - 8 ბალი;
- ქარის დატვირთვა – 50 კგ/მ^2;
- თოვლის დატვირთვა – 50 კგ/მ^2.

ვიზუალური დათვალიერებით ირკვევა, რომ სადემონტაჟო შენობა Г-სებური ფორმისაა და მდებარეობს თარხნიშვილისა და ხორავას ქუჩების გადაკვეთაზე.

სადემონტაჟო ნაგებობა სამსართულიანია. შენობის ნაწილში განთავსებულია სარდაფი.

ხორავას ქუჩის მხრიდან ზემოხსენებულ შენობას ესაზღვრება 5-სართულიანი შენობა, სარდაფით. შენობებს შორის დაცულია ტემპერატურული ნაკერი, რომლის სიგანე ~15 სმ-ის ტოლია. შენობაზე კონსტრუქციული დაზიანებები არ შეიმჩნევა, ამიტომ დემონტაჟის დროს თუ დაცული იქნება დემონტაჟის პროექტში მითითებული ღონისძიებები, ამით მისი მდგარდობა არ დაირღვევა.

თარხნიშვილის ქუჩის მხრიდან მოსაზღვრე შენობა გადაბმულია სადემონტაჟო შენობასთან, ამიტომ აღნიშნული შენობის დემონტაჟის დაწყებამდე გათვალისწინებულ უნდა იქნას მოსაზღვრე შენობის მიმართ ყველა ის ღონისძიება, რომელიც მოცემულია დემონტაჟის პროექტში და დაცული იქნება საქართველოში მომქმედი სამშენებლო წესები და ნორმატივები.

დემონტაჟი უნდა მოხდეს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის ავტორის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ.

შ.პ.ს. „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს
დირექტორი /ბ. მირიანაშვილი/

ექსპერტი-კონსტრუქტორი /ვ. ციტაიშვილი/
22.11.2012